დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესი და პირობები (№81/2015, 27.07.2015) (№37/2021, 26.04.2021) (№50/2023, 15.05.2023)

მუხლი 1. ამოღებულია (№50/2023, 15.05.2023)

მუხლი 2. ამოღებულია (№81/2015, 27.07.2015)

მუხლი 2[1]. ამოღებულია (№37/2021, 26.04.2021)

მუხლი 2[2] . უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების წესი და პირობები (№37/2021, 26.04.2021)

1. ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი“ (შემდგომში – ,,ემერიტუსი”) წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ აკადემიურ წოდებას.
2. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება პირს, რომელიც ამ წოდების მინიჭების შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის:
ა) არის 65 წლის ან მეტი ასაკის;
ბ) უკავია უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა;
გ) სამჯერ მაინც იყო არჩეული უნივერსიტეტის პროფესორის (სრული პროფესორის) თანამდებობაზე;
დ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 30 წლის გამოცდილება, მათ შორის თსუ-ში არანაკლებ 20 წლის ანალოგიური გამოცდილება;
ე) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში;
ვ) განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი უნივერსიტეტისა და მეცნიერების განვითარებაში (გამოგონება, აღმოჩენა, დარგის განვითარება და ა.შ.), მოპოვებული აქვს საერთაშორისო აღიარება, არის საზოგადო მოღვაწე.
3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების გარდა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია დადგინდეს დამატებითი პირობები.
4. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მისი განცხადებისა და შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს მიერ. უფლებამოსილ პირს, მისი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, მაგრამ ხელშეკრულების ვადის ნახევრის გასვლის შემდგომ აქვს უფლება მოითხოვოს მისთვის ემერიტუსის წოდების მინიჭება, პროფესორის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით. ემერიტუსის წოდების

მინიჭებისთანავე იგი თავისუფლდება უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან. აკადემიური საბჭოს მიერ პირისათვის დადგენილი წესით ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება წელიწადში ერთხელ, კონკრეტული სასწავლო წლის აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე.
5. ემერიტუსის წოდება არ ითვალისწინებს პირისთვის ანაზღაურების გაცემას (ეს პუნქტი არ ვრცელდება ემერიტუსის წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ უნივერსიტეტის მიერ ამ პუნქტის ძალაში შესვლამდე მიღებულ გადაწყვეტილებებზე).

მუხლი 3. დამატებითი პირობები (№37/2021, 26.04.2021)

1. ემერიტუსის წოდების მქონე პირმა, შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში, შეასრულოს როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი სამუშაო, აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.
2. ემერიტუსის წოდების მქონე პირმა შესაძლებელია ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით, შეუზღუდავად ისარგებლოს უნივერსიტეტის რესურსებით და უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სხვა შეღავათებით, საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო გრანტების მოპოვების, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების მიღების, სამუშაო სივრცითა და საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებისა და ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის შესაძლებლობით.
3. ემერიტუსის წოდების მქონე პირის მიერ უნივერსიტეტში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების, შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ან/და უნივერსიტეტის ინტერესების შემლახავი ქმედების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს გადაწყვეტილება ამ პირისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ.
4. უნივერსიტეტი ძალადაკარგულად აცხადებს გადაწყვეტილებას პირისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ:
ა) უნივერსიტეტის ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის საქმიანობაში აკადემიური ეთიკის დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში (უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 მაისის №46/2014 დადგენილება. წინამდებარე ქვეპუნქტი ვრცელდება უნივერსიტეტის ემერიტუსის სტატუსის მქონე პირებზე, მიუხედავად იმისა, თუ პირს როდის მიენიჭა ემერიტუსის სტატუსი);
ბ) თუ გამოვლინდა, რომ პირს წოდება მიენიჭა მოქმედი კანონმდებლობით ან

უნივერსიტეტის შიდა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა დარღვევით, ან კანდიდატის მიერ არასწორი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე (წინამდებარე ქვეპუნქტი ვრცელდება უნივერსიტეტის ემერიტუსის სტატუსის მქონე პირებზე, მიუხედავად იმისა, თუ პირს როდის მიენიჭა ემერიტუსის სტატუსი).

5. გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა ემერიტუსისათვის უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო საქმიანობის (სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული, ლაბორატორიული) განხორციელებაზე უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით შრომითი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის და ანაზღაურების ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი. ასეთ შემთხვევაში შრომის ანაზღაურება გაიცემა უნივერსიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული თანხებიდან.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები (ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების დროებითი წესი)

1. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება 65 ან მეტი ასაკის პირს, რომელიც იმყოფება უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში და ამ წოდების მინიჭების შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის:

ა) წარმოადგენს უნივერსიტეტში მოღვაწე პირს და არის საუნივერსიტეტო კოლეგიური საკონსულტაციო მოქმედი ორგანოს წევრი;

ბ) წარმოადგენს უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, აქვს თსუ-ში მუშაობის არანაკლებ 25 წლის გამოცდილება (თსუ მედიცინის ფაკულტეტის თავისებურებებიდან გამომდინარე ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული თსუ-ში მუშაობის გამოცდილება არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები), მათ შორის უნივერსიტეტის სრულ პროფესორად მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში;

გ) არის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, აქვს თსუ-ში მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება (თსუ მედიცინის ფაკულტეტის თავისებურებებიდან გამომდინარე ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული თსუ-ში მუშაობის გამოცდილება არ უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები), მათ შორის უნივერსიტეტის სრულ და ასოცირებულ პროფესორად მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში;

დ) არის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აქვს თსუ-ში მუშაობის არანაკლებ 30 წლის გამოცდილება (თსუ მედიცინის ფაკულტეტის თავისებურებებიდან გამომდინარე ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული თსუ-ში მუშაობის გამოცდილება არ უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები), მათ შორის უნივერსიტეტის სრულ ან ასოცირებულ პროფესორად მუშაობის 6 წლის

გამოცდილება მაინც და თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში;

ე) არის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აქვს თსუ-ში მუშაობის არანაკლებ 40 წლის გამოცდილება (თსუ მედიცინის ფაკულტეტის თავისებურებებიდან გამომდინარე ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული თსუ-ში მუშაობის გამოცდილება არ უნდა იყოს 20 წელზე ნაკლები), მათ შორის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად მუშაობის 3 წლის გამოცდილება მაინც და თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესაბამისი დარგის განვითარებაში.

1^1. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება პირს, რომელსაც სსიპ – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და თსუ–თან მიერთების საფუძველზე 2011 წლის 1 იანვრისათვის შეუწყდა სსიპ – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის თანამდებობა, იმავდროულად იყო 65 წლის ან მეტი ასაკის, უნივერსიტეტისათვის წარდგენილი ჰქონდა განცხადება ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ. მას უნივერსიტეტის მიერმიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება ამ წესის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნტით გათვალისწინებული ოდენობით. *(№48/2013, 18.03.2013)*

2. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება პირს, რომელსაც 2011 წლის 1 სექტემბრისათვის ეკავა თსუ-ის სრული პროფესორის თანამდებობა, იმავდროულად იყო 65 წლის ან მეტი ასაკის, უნივერსიტეტისათვის წარდგენილი ჰქონდა განცხადება ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის წარდგენილი იყო ამ აკადემიური წოდების მინიჭებაზე, მაგრამ უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

3. უნივერსიტეტის ემერიტუსის წოდების მქონე პირს უნივერსიტეტის მიერ მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს - 850 ლარის ოდენობით;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს - 600 ლარის ოდენობით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს - 400 ლარის ოდენობით;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს - 300 ლარის ოდენობით;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს - 800 ლარის ოდენობით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება შეწყდეს 2012 წლის 27 ივნისს.

2. წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტები ამოქმედდეს 2012 წლის 28 ივნისიდან.

3. პირს ემერიტუსის წოდება ენიჭება მის მიერ ამ წოდების მინიჭებაზე განაცხადის გაკეთების დროისათვის მოქმედი წესით და მასზე ვრცელდება ამ წესის თანმდევი სამართლებრივი შედეგები.

4. ემერიტუსის წოდების მქონე პირებისათვის განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობა, რომელიც მათ განესაზღვრათ ხსენებული წოდების მინიჭებისას ცვლილებას (შეცვლას) არ ექვემდებარება. (№81/2015, 27.07.2015)